ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 103

„17" მარტი 2023 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №74-ში არსებული 43.29 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №74-ში მდებარე 43.29 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 მარტის №23.311.344 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №74, სართული 1, ბინა №3-ში არსებული 43.29 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, სალომე გელაშვილისთვის (პ/ნ. 11001030913) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე